საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/44

ქ.ბათუმი **30** აპრილი, 2020 წ

„ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №06-01/70 დადგენილების, „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილებისა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციების (MES 520 00322223, 31.03. 2020) და „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ბსუ-ში სასწავლო პროცესის განხორციელების დამატებითი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 31 მარტის N01-02/39 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის 2020 წლის 30 იანვრის N124 ბრძანებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ნ. წერეთელის 2020 წლის 28 აპრილის MES 4 20 00350384 კორესპონდენციის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების 2020 წლის 30 აპრილის N355702 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი **(დანართი N1).**

2. **2020 წლის 1 მარტიდან** ძალადაკარგულად ჩაითვალოს „პროგრამის სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს ფარგლებში ბსუ-ს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების დადგენის შესახებ " ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 7 დეკემბრის № 01-02/206 ბრძანება.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **შერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 30 მარტი **N**01-02/44 **ბრძანების**

დანართი N1

,,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი

1. წინამდებარე წესის მიზანია სახელმწიფო პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისა) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული 202 სტუდენტზე, 2020 წლის 01 მარტიდან 2020 წლის 01 აგვისტომდე პერიოდისათვის (სულ 5 თვის), თითოეულზე ყოველთვიური 150 ლარის ოდენობით სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისათვის კრიტერიუმების შემუშავება.
2. სახელმწიფო სტიპენდია ენიშნება იმ სტუდენტებს, რომლებსაც წინა სემესტრში, შესაბამისი პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში (ათვისებული უნდა ჰქონდეს **არანაკლებ** 27 კრედიტი) მიღებული აქვს ,,საშუალო შეწონილი" ფორმულით მინიმუმ 81 ან მეტი ქულა.

3. ბსუ-ში სახელმწიფო სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ გაცემული დაფინანსების ოდენობის (სულ 202 სტუდენტისათვის) გათვალისწინებით, ბსუ-ს აქტიური სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან ფაკულტეტებზე აქტიური სტუდენტთა რაოდენობის პროცენტული წილის შესაბამისად, რაც სტუდენტური პორტალის მონაცემებით 2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობით არის შემდეგი:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - 42 სტუდენტზე;
ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან - 36 სტუდენტზე;
გ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - 31 სტუდენტზე;
დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან - 30 სტუდენტზე;
ე) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტიდან - 22 სტუდენტზე;
ვ) ტურიზმის ფაკულტეტიდან - 21 სტუდენტზე;
ზ) ტექნოლოგიური ფაკულტეტიდან - 20 სტუდენტზე.

4. **საფაკულტეტო კვოტის ფარგლებში** სტუდენტების მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში (თუკი ბოლო 2 ან მეტ სტუდენტს დაუფიქსირდება ერთი და იგივე საშუალო შეწონილი ქულა), უპირატესობა მიენიჭება

შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე, სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციებში, სემინარებში, სიმპოზიუმებში და ა.შ. მონაწილეობის მიღებასა და მაღალ მიღწევებს (საუნივერსიტეტო კონფერენციები და სხვა, შესაბამის ფაკულტეტზე არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით).

5. თუკი შესაბამის ფაკულტეტზე, წინამდებარე წესის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კვოტის შესაბამისად გასაცემი დარჩება სტიპენდია, იგი შესაძლებელია გადანაწილდეს იმ ფაკულტეტის სტუდენტებზე, რომლებსაც ამ წესის შესაბამისად, ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს.
6. წინამდებარე წესის აღსრულების მიზნით ფაკულტეტების დეკანები არაუგვიანეს 2020 წლის 4 მაისისა ბსუ-ს რექტორს წარუდგენენ წინამდებარე წესის მე-3 პუნქტში აღნიშნულ სტუდენტთა რაოდენობაზე (კვოტა) 5 (ხუთით) მეტი სტუდენტის მონაცემებს. ფაკულტეტების სამსახურებრივ ბარათებში უნდა აისახოს სახელმწიფო სტიპენდიანტების კანდიდატების შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი; სწავლების საფეხური და საგანმანათლებლო პროგრამა; სწავლების წელი/სემესტრი; ბოლო სემესტრის საშუალო შეწონილი ქულა.
7. **სახელმწიფო სტიპენდია არ დაენიშნება:**

ა) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ/სტატუსშეწყვეტილ პირს;
ბ) სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის სტუდენტს;
გ) აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს (გარდა იმ სტუდენტისა, რომელსაც ბსუ-ს გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის გამო, დადგენილ ვადაში ასათვისებელი აქვს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები);
დ) სტუდენტს, რომელსაც შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის მოთხოვნები და მიენიჭა შესაბამისი აკადემიური ხარისხი;
ე) სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრში ათვისებული აქვს 27 კრედიტზე ნაკლები)
ვ) დამატებითი სასწავლო სემესტრის (ვადაგაგრძელებულ) სტუდენტს;

8. სახელმწიფო სტიპენდია ენიშნება და შესაბამისად, გაიცემა ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე (თანხმდება სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტთან, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურთან, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან).